18 მაისი, 1908 ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

„ტრიბუნი“ და სუფლიორი.

ტიმოშკინის სუფლიორი.

ტრიბუნაზე რო ავიდა
თფილისელი შუშის მჭრელი,
„დეპუტატი“ ტიმოშკინი
და „მსჯელობას“ მიჰყო ხელი,

დაინახა: რომ მსმენელებს
სახე ულიმთ და უცინისთ...
(რა თქმა უნდა, სასაცილო
იყო „რეჩი“ ტიმოშკინის)

ის განრისხდა: „ბატონებო!
მიკვირს რით ვარ დასაწუნი!
იქნებ ის არ გეჭაშნიკათ
რომ არაყის მიდის სუნი?

ტრიბუნაზე რო გამოვალ
და ასტეხავთ სიცილ-ხარხარს
ჩემზე უფრო სასაცილო
ნუ თუ არვინ დაგინახავთ?!

კავკასიის საქმეები
მესმის, როგორც ,,ორჯერ-ორი''
და სტყუიან თუ ამბობენ
თითქოს მყავდეს სუფლიორი.

—კი.

ნაკადული.

ჩუხჩუხით მოქუხს ნაკადი
მაღლიდან დაბლა ბარათა,
თან მოიმღერის ხმატკბილათ
უცხო რამ ჰანგზე წყნარათა:
„სალი კლდის შავ-ბნელ წიაღში
ვიყავი მომწყვდეულიო,
გულს კაეშანი მიღრღნიდა,
მწარეთ მიკვნესდა გულიო.
მაგრამ გავაპე სალი კლდე,
გამოვჩქრიალდი გარეთო,
ვიხილე ტურფა ბუნება
აყვავებული მწვანეთო.
ფართოთ გაშლილი მთა-ბარი,
ლაჟვარდისფერი ზეცაო.
და მასთან ქვეყნის მნათობი—
სხივებ გაშლილი მზეცაო,
ვარსკვლავნი მოციმციმენი,
შუქ მფენი ბადრი მთვარეო
და განთიადი კაშკაშა,
ცისკარი მოელვარეო.
სალამი ვუძღვენ მეგობრებს,
გადავუშალე გულიო,
შიგ ჩავიხატე იმათი
სურათი დიდებულიო.
და მოვჩქრიალებ, სიხარულს
ვეძლევი სანეტაროსო,
ვადიდებ თავისუფლებას—
ბედნიერების წყაროსო!“
და მოჩანჩქარებს მოხტუნავს,
გველივით მოიკლაკნება,
ხანდახან აჩუხჩუხდება
და ხან კი გაინაბება.
თან შხეფებით რწყავს მიდამოს,
პირსა ბანს ბალახ-ყვავილებს
მის ნაპირებზე ლამაზათ
სამოთ გადაფურჩქნილებს.

—

მას თავს ადგია მგოსანი,
შეყურებს აღტაცებული
და აწკრიალებს სიმებსა
ძალზე გულ ატოკებული.
მღერის: ,,ნაკადო! ჩვენც შენებრ
გარს გვაკრავს შავი ზღუდეო,
ტანჯვა-წამების სამეფო,
უსამართლობის ბუდეო.
ვებრძვით და ვებრძვით, მაგრამ ჯერ
ვერ გავარღვიეთ იგიო
და ვერ დავამხვეთ სამუდმოთ
მისი წესი და რიგიო.
მაგრამ მწამს, როცა იქნება,
გავაცამტვერებთ სრულადო...
თავისუფლების სიმღერას
დავაგუგუნებთ ტკბილადო.“
და შორს გაისმის უცხო ხმა
სევდიან-იმედიანი,
მას ბანს აძლევენ მინდვრები,
გაშლილნი, გულ მკერდ-ღიანი,
მთები კი იმეორებენ,
ტყე-ველნი სმენათ ქცეულნი
ყურსა უგდებენ შორიდან
ზურმუხტათ ამწვანებულნი.

ვ. ჩახრუხაძე.

გაზაფხული.

მახსოვს... იყო გაზაფხულის
მთვარიანი წყნარი ღამე,
ბუნება ძილს თავს ახწევდა,
ეშლებოდა გულს სიამე.
გამუდმებით შრომა იყო
და ხან მოკლე, ღამე ძილი,
კარზე იდგა მახაროობლათ
განთიადი ფრთებ გაშლილი!
ყოველის მხრით მოისმოდა
გმირთ საგმირო ჰანგზე მღერა
და მოეცვა სასიცოცხლო
ენტუზიაზმს გულის ძგერა!
შორს არ იყო დიადი დღეც,
მრუდს და მარიალს ასე სწამდა,
ტანჯულსაც კი ამავ ფიქრში
გულის წყლული დაუამდა...
ბულბულს გრძნობათ შესადარათ
მოემართა თვისი ქნარი,
და მის ლხენას ხმა შეწყობით
ბანს აძლევდა მთა და ბარი...
სოფლის შუა, ცაცხვის ძირათ,
მახსოვს, თავი მოგვეყარა:
ერთის აზრით გაერთიანებული
სულ აქ იყო დიდ პატარა.
თავს დაგვცქერდა ძმობის დროშა,
ტანჯულთ სისხლით გაქარგული
და იმის ქვეშ ერთი იყო
ჩვენი რწმენა, ჩვენი გული!
მოძმის ბაგე ხმა მჭექარე
მტრებზე რისხვის ცეცხლს აფრქვევდა
და ცხოვრების მწვავე კითხვებს
სმენად ქცეულ ხალხს ურკვევდა...
მახსოვს: მაშინ ბევრთ გულთაგან
აღმომხდარა ოხვრა-მწველი,
აქეთ წყევლა მოისმოდა,
იქით რისხვა საშინელი!..

აღარ ჰქონდა დასასრული
ხალხის წყრომას და მუქარას
და არ სწამდა ძველი წესი
აღარც ყმაწვილს, არც ჭაღარას!..
ვხედავ, დადგა გაზაფხული
და ბუნება ქორწილს მართავს,
მაგრამ მე რა, როცა გული
გლოვის სევდას გაუფათრავს!
აღარ ესმის ყურს ყიჟინა
ჩვეულებრივ-ადრინდელი,
დაღვრემილა გმირთა გმირი,
დაუშვია დაბლა ხელი!...
დაუშვია ვით უღონოს,
ბორკილ-ხუნდი მას უმძიმებს
და ხმა ტკბარი ჩვენი ჩანგი
არ აჟღერებს თავის სიმებს.
არც ბულბული მღერის ნანას
ჩვეულებრივ ბუჩქის პირათ
და გვაგონებს თავის სტვენას
რაღაც მძიმე ძილის პირათ!
გაზაფხულდა ბუნებაში,
ჩვენ კი შორს გვაქვს გაზაფხული!
მიტომ არ სტვენს საჩვენო ხმით
განთიადის მოციქული.
მოვა დრო და ისიც ჩვენთვის
შემოსძახებს ხმა-ტკბილ ნანას!
მაშ, განთიადს გაუმარჯოს!
და გაზაფხულს იმისთანას!!.

ნ. ზომლეთელი.

სცენა სოფელში.

ბეტრია. კაი გამარჯობა შენი!

ლაზარიკა. ბეტრეს დმერთმა გაგიმარჯოს.

ბეტრია. რას გელაპარაკებოდა თუ დმერთი გწამს წელან იგი მამასახლისი?..

ლაზარიკა. ნუღარ მკითხავ თუ კაცი ხარ, ჩემ ჯკუაზე ადარ გარ სწორეთ.

ბეტრია. იმისთანაი რა კითხრა კაცო?

ლაზარიკა. რა მითხრა და მათი დაფსება! იმ დაღუბულ მიქიაშვილს ამოვუგდივართ მთელი ქვეყანა, სხვას რას მეტყოდა!!.

ბეტრიკა. რავა წავხთი, იქიდანაც გვასტვინა ხელი თუ?

ლაზარიკა. იქიდან კი არა კაცო, შარშან რომ ფარა მოხიკა, ერთი კაკალი არ შეუტანია თურმე ხაზინაში.

ბეტრია. აწი რავა, მან იცის და ხაზინამ.

ლაზარიკა. მაგი კი არა ბრისთავს უთქვამს ფარა თქვენ უნდა გადიხადოთ და იმას სატხა გინდათ იქინა უჩივლეთო. ვაი წავხთი ახლავე დაგიშმბავენ მეთქი ვუთხარი. ვერ ხედავ სოფელში ძაღლები წაწოდილი რომ უეფენ მეთქი?!

ბეტრია. ჩვენტ, მარა ოდოლე იმ ზოგიერთ ოზნოურშვილებს, რომ უტლაკეს ფეხი და ურიგეს ქალები და ქალიშვილები!

ლაზარიკა. აბა რას ვჩივი კაცო! იგი თურმე იქიდან უბას გვიქცევს კიდო. აი რა მოუწერია ერთი მისი დამქაშიზა:

„წარვიდენ დღენი ნეტარებისა
მხოლოდ სიზმარებრ მაგონდებიან,
ჩემო ძვირფასო ხულიგანებო
არ მოგვესწრობა, რაც მოგვსწრებიან.
ვაი სამოთხეე! ვაი ქალებო,
ვაი თუ კიდევ გადამრჩა ფული,
ტოტა კი მრცხენის გავაიმასვქენ
ანსაურები ჩემი ერთგული“.

ლაზარიკა. ვაი ბებია მისს და რადა.

შხანკოლა.

მეგობარს

(ვუძღვნი ლ-ს)

მეც თან დამდევს სიღარიბე
თავს დამატყდა გასაჭირი,
მაგრამ რწმენით გამსჭვალული
მაინც ვიმღერ და არ ვსტირი.
ან რას მარგებს ტყვილ უბრალოდ
ქვითინი და ცრემლთა დენა?
როცა ირგვლივ წყვდიადია
და თარეშობს ბილწი ენა!
ვხედავ ტანჯვას ჩაგრულთ შორის
ოფლში სცურავს თითქმის ყველა,
და ცხოვრების მძიმე უღელს
მეც მათთან ვწევ ნელა ნელა.
თანაცა ვგრძნობ, რომ ამ ტანჯვას
უნდა ექნას დასასრული,
და მომავალ ცხოვრებაზე
ოცნებობით სტკბება სული.
წინასწარ ვგრძნობ, ეს ოცნება
სინამდვილედ გადიქცევა,
და ცხოვრების „მრუდე კოშკი“
სამუდამოდ დაიქცევა.
მაშ ასე ძმავ! არ დაეცე!
გაიმსჭვალე რწმენით გული
და გახსოვდეს: ჩაგრულთ დევნას
უნდა ექნას დასასრული.

ღ. მოხევე.

გამოცანები.

(ხაშმისათვის)

ესფერია ჭეშმარიტი,
და იმათი ცოდნის შვილი,
„მადამების“ მოტრფიალე,
აზრით კოჭლი, ტვინ მოშლილი,
მღვდელს ვექილათ დასდგომია
ხელთ უპყრია რამ დავთარი,
(ასე იცის „სოციალისტს“
თუ აუდგა თავში ქარი!)
ეჩვეწება ხაშმელ გლეხებს
შეადგინონ „პრიგოვორი“
რომ „ხუცესზე დანაწერი
ხელეპირათ იყო ქორი.“
გლეხებმა ამ ქვეწარმავალს
არც კი მიაქციეს ყური...
აბა ვინძლო გამოიცნოთ
ეს ხაშმელი აზნაური.

იადონი.

2

(სუფსელებისათვის)

სადგურის წინ დასეირნობს
დარია თუ ავდარია,
მებუფეტეს ნისიებით
აუბნია დავთარია.
ყველას ერთნაირად ლანძღავს
ბრიყვია თუ მართალია,
ცრუობაში სწორე გითხრა
არავინ ყავს ბედალია.
ღმერთათ აკობია მოსწონს
ანგელოზათ ხეობელი
ესდეკების სალანძღავათ
აშლილი აქვს სალერღელი
გინებით რომ ვერას გახდა
მუშტ კრივობას მიყო ხელი.

კასიო.

გლეხის ღიღინი.

(ურმული)

1.

ჭარალე ბიჭო ჭარელე, ვარალე ჭოროველათ,
შენი ჭირიმე ნუგეშო მგვებათ ხართ ჭრელათ,
კვლავ მონები ვართ, გაუქრათ ჩვენ მტრებს შიშისა ხველათ,
გვჩაგრავენ, უღვთოთ გვტანჯავენ ჩვენზე ბრძანებლობს
ყველათ...
ჩვენის ნაშრომით ბატონმა კვლავ ჯიბე გაისქელათ
ჯაფისგან ვწუდებით წელშია ჯერ არსით სჩანს შველათ
ცოლ-შვილას ქვითინ-ტირილმა ძირს მიწა დაასველათ...
ოფლსა ვღვრით, მითი გავაძღოთ მუქთ-მელაპა-ღორ-
მუცელათ
ვერ ძღება, მაინც ვერ ძღება, ნეტავ რამ გაამგელათ
წარსულმა მოძრაობამა გააგიჟ-გაახელათ,
და როს დავმარცხდით დაგვიწყეს სახრით გვერდების ზუ-
ლათ...

2.

ჭარალე ჭარი ვარალე დალალე ჭოროველათ
არ გვიგემია გლეხ-კაცებს სიამე არც ერთხელათ,
ვერ იქნა ვერ მოვიშორეთ ფარაჯა კონკის [illegible]
რას ხვნეში შენი ჭირიმე ხართ რას იწყე ცრემლათ,
მუხთალმა ბედმა უღელი ორივეს გაგვიძნელათ.
ვარალე ბიჭო ვარალე, ვარალე ჭოროველათ
ათასმა გადასახადმა ჯერ ჯიბე შეგვითხელა,
ესეც არ ეყოო, სახლ-კარის მთლად გაგვიყიდეს ყველათ,
მამასახლისი მაბრძანებს გამომიგზავნე წველათ...
ჩარჩმაც იხელთა დროება სიამით ჩაახველათ,
და „სუდში“ საჩივლეთა არზა კვლავ საჭრელათ.
ჩვენმა მოძღვარმაც იდროვა ხურჯინი დაიგრძელათ
პირზე უმანკო ღიმილით მოგვადგა ცამტ-წვერათ
ვაი მას სოფლის „ტარშინა“ თუ ვინმემ გადიმტერათ
„დანოსს“ წაიღებს „პრისთავთან“ პრისთავს-კი მისი
სჯერათ.
რას იზამ ქვენა ნიავმა სასტიკათ დაგვიბერათ.

ქურიშვილი.

(შემდეგი იქნება)

შანტაჟისტი ილია.

გვარი ვის ან რათ უნდა,
სახელათ კი—ილია,
მართალი მოგახსენოთ
დიდი ოხრის წილია,
გალანძღავ, არ წითლდება
თითქო ბავში ჩვილია,
გინდა სცემო, აიტანს,
ამ მხრივაც გულ-გრილია!
რასაც ვამბობ—ილოზე,
არ გეგონოთ ცილია,
ყველა ნათესავებთან
შერცხვენილი, წბილია.
როცა ხალხს ატყუილებს,
ღმობიერი, რბილია,
სერიოზათ იქცევა,
მუდამ მოწყენილია,
რაც გინდათ დაარიგეთ,
იმის თავში ცხრილია,
იმასთან ლაპარაკი
გარწმუნებთ სირცხვილია!
ორსულთ კასას განაგებს
ხომ ხედავთ, რაც შვილია!..

შმაგა.



ორი ეშმაკი.

ლექცია.

(მიბაძვა).

პირვ. ეშმაკ! სად იყავ??
მეორე. ლექციაზედა
სახალხო სახლში აქ, ვერაზედა...
პირვ. ვინ კითხულობდა და ან რაზედა
მეცნიერების რომელ დარგზედა?
მეორე. ვინ კითხულობდა?
ჩვენი ილიკო,
აკი გაზეთში ნათქვამი იყო?!!
ენა ვერ იტყვის რა არ გვასწავლა,
რაები მან არ ჩამოგვითვალა!!
რა და რა დარგის
მეცნიერება,
რა და რა გვარი მშვენიერება!!!
რა გინდა გულო,
რა გინდა სულო,
სახარება თუ სამოციქულო!!
პირვ. ალბათ საუბრობს მარილიანათ,
ნასწავლი არის
საფუძვლიანათ...
მთელი ინგლისი
და იტალია
ხუთი თითივით შეუსწავლია.
მეორე. საუბრობს ისე ლაზათიანათ,
ისე მკაფიოთ
და რიხიანათ
რომ დაგვაძინა სულ ერთიანათ.
პირვ. ენა უვარგა ნაკაშიძესა,
რომ ლაპარაკობს
ამის სიგრძესა?
მე მესმა მისი რუსული რეჩი,
მოქნილი, ტურფა
როგორც კამეჩი.
მეორე. ენას ნუ მკითხავ შენ გენაცვალე:
მარტო „მკვეთრები“
ველარ დავთვალე!!
რამდენიც სიტყვა მოატრიალა
იმდენი „მკვეთრი“ გაახრიალა.
„მკვეთრი“ ღონეო,
„მკვეთრი“ ძალაო,
„მკვეთრი“ ჯახრიკა, მაჩანჩალაო;
„მკვეთრი“ ლობიო
და ტყემალიო
„მკვეთრი“ სატირის
„მკვეთრი“ კვალიო...
პირვ. რა ამბავია ამდენი „მკვეთრი“?..
მეორე. ნუ მაწყვეტინებ
დამაცა ერთი!..
გაგვაცნო ყველა
უფროს-უფროსი
ვინც კი ყოფილა სატირიკოსი.
ეს გეინეო,
ეს ვოლტერიო,
ეს კლდიაშვილი მათი სწორიო;
ეს გოგოლიო,
ეს დიკენსიო,
ქრისტე ხომ ყველას უკეთესიო.
პირვ. დიდი სერვანტეს
ისპანიელი
და „ჰიუმორი“ მისი ძლიერი
ალბათ ყველაზე წინ დააყენა!!.
მეორე. რა? ვინ სერვანტეს?
რას ამბობ შენა?!!
ალბათ ამ დარგში
არ უძევს წილი ..
(ან სად სერვანტეს,
სად კლდიაშვილი!!!)
სჩანს ქვეყნად კვალი არ დარჩენია
და მისთვის აღარ მოიხსენია!

მოხსენება.

ქუთაისის რევიზიისა.

(გაგრძელება)

კაი ხანია „ეშმაკის მათრახში“ ჩემი რევიზიის გაგრძელება არ მიმიწოდებია მკითხველთათვის მიზეზი ბევრია. უმთავრესათ, ჩემი სხვადასხვა საქმეებში ჩახლართვა და დროს უქონლობა. ჩემ ამხანაგ

ეშმაკებს ბევრი მასალები დაუმზადებიათ, მაგრამ უჩემოთ გაგზავნას ვერ ახერხებდენ. ამ კვირიდან შეუდგები მათი მოხსენებების მოწოდებას.

დაიკარგა სახალხო თეატრის ამშენებელი კომისია. ჯანაბა მათ და მათ დაკარგვასაც, მარა საკვალალო ისაა, რომ მათთან ერთათ გვარიანი სუმმა მიიმასქნა. როგორც ქუთაისის „სტაროჟილები“ მოგვითხრობენ იმ ფულებიდან ქუთაისის წიგნების გამომცემელ საზოგადოებას რამოდენიმე ასი ქანქარი .უსესხებია ვექსილით. ან ვექსილი საღაა, ან ფული ვისა აქვს, ან თვით წევრები სად მიიმალენ, ალლაჰმა უწყის. თუ კი ვინმეს ამათ შესახებ რამე სმენია, ქენით სიკეთე და შეატყობინეთ ქუთაისის საზოგადოებას.

საძებნელია გაბრიელის ბიბლიოთეკაც. არც მისი ავან-ჩავანი არავინ იცის. ბევრს აქაურს ეგონა, რაკი ეშმაკები შეუდგენ მის ძებნას, აუცილებლათ სადმე ამოძებნიანო, მაგრამ საუბედუროთ მოსტყუვდენ. ეშმაკებიც ვერას გახდენ.

ქალაქის ბიბლიოთეკა ჯერ არ დაკარგულა — მაგრამ ვაი იმისთანა არსებობას. ორას ფურცლიდან წიგნში ასი საუკეთესო ამოგლეჯილია. ამ სასიქადულო მოღვაწეობას ყველაზე მეტად მოსწავლე ახალგაზრდობა ეწევა.

მოწაფეების საყურადღებოთ. ახალგაზდობის ერთ ჯგუფს (სტუდენტებიც ურევია) გადაუწყვეტია ყოველ წლივ აპრილის 15-დან მაისის 15-მდე ბულვარის მიდამოში გახსნას „ტემების საწერი ბიურო“. ტემას წერენ ნახევარ საათში. ტემის ფასი დროზეა დამოკიდებული. ეგზამენების დღეს 50 მანეთამდე ადის.

ახალი ლექტორი. როგორც გადმოგვცემენ ლანჩხუთელებს აპრილის ბოლო რიცხვებში ლექციის წასაკითხავათ დაუბარებიათ „გამოჩენილი“ ლექტორი სერგო ჟორჟოლიანი. ლექციის თემა შემდეგია: „ლაქიობის წარმოშობა და მისი თანდათანი განვითარება ქუთაისის სითაკად-აზნაურო გიმნაზიაში“. თემა რთული და ძნელია, მაგრამ ლექტორიც ღვთის წინაშე, ამ საქმეში გვარიანათ დახელოვნებულია.

ნუ გაივლით. ვორონცოვის ქუჩა ეშმაკებისაგან შეჩვენებული უნდა იქნას. ეშმაკებს კი არა სხვა ბევრსაც არ ვურჩევ ამ რიადზე გავლას. ბ. კიკაბიძე და ზვიადაძე (ვაჭრებია) ამ ქუჩის „არხანგელებათ არიან მოვლინებულნი. ერთი რჩევა და მითქმა-მოთქმა აქვთ, როდესაც ვინმე „იმისთანას“ დაინახავენ გავლილს.

ნოქრების პროფესიონალური კავშირის წევრმა წინადადება მომცა გამოვაცხადო, რომ თუ ზოგიერთ ნოქრებს არ დაუნებებიათ თავი ღამღამობით ბანქოზე და შულერობაზე ლექციების კითხვისათვის მათ სახელ და გვარს გაზეთში გამოაცხადებენ.

დასრულდა კენჭობია ქუთაისის ბანკში. ვაი იმისთანა მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიდაც ის არის. მე და ჩემა ღმერთმა, რომ გაბრიელის ბიბლიოთეკასავით გამგეობასთან ერთათ რამენაირათ ისიც დაიკარგებოდეს, საზოგადოება თუ მოიგებს, თორემ წაგებია არასფელს წააგებს ნამდვილი ნიმუშია ჩვენებური საქმიანობის. თქვენ თვითონ გასინჯეთ.

ა) ასი ათასობით ასაღები ფული აუღებელი რჩება.

ბ) ზარალის პროცენტებს ზოგს ახთევინებენ და ზოგს არა, შინაურულათ, იმისდა მიხედვით გადამხთელი გამგეობის ყურ მოჭრილი მონაა თუ არა.

გ) პირველ წელიწადსვე ქონია ახალ გამგეობას ვალის დაფარვის საშუალება, მაგრამ ეს საშუალება სხვა საქმეებისათვის მოუხმარია და ანგარიშში კი ორასათასამდე მანათი მეტია დაუფარავათ ნაჩვენები.

დ) ბატონი ანდრო—ბანკის თავმჯდომარე უმეტეს ნაწილათ მოგზაურობაში ატარებს.

ე) ამ მოგზაურობისა 1000 ქანქარს განიღებს თავის ნებით ბანკიდან და თავს იმით იმართლებს, რომ სხვებიც ასე შვრებიანო.

ვ) თავის საჭიროებიზა სესხათ გააქვს ბანკიდან ქანქარი და აწერიებს „въ счетъ возврата“.

ზ) გამგეობა წელიწადში ერთხელ ამოიღებს ხმას რწმუნებულების კრებაზე და მაშინაც მხოლოდ ის მესმის ფთხილათ ილიპარაკეთ, ჩვენს მოქმედობაზე კრინტი არ დასძრათ, თორემ ბანკს სახელი დაუვარდებაო, თქვენ ფული შემოიტანეთ საქმე შემდეგ კარგათ წავაო.

რევიზორი—ეშმაკი.

კონდუქტორების სიმღერა.

(ვუძღვნი სურამ-ბორჯომის ზოგიერთ კონდუქტორებს)

„ბრუციანების*)“ ჭირიმე
იმათ კი ვენაცვალები,
ვინც მათი გემო არ იცის?!
ოი, დაუდგეს თვალები!!

უბილეთოებს რო ეძებ,
თანაც ბლომათ გვყავს მგზავრები,
კრეფავ და კრეფავ „ქანქარსა“
ობერსაც ეზიარები.

ღმერთმა დასწყევლოს „კონტროლი“
შორიდან მოგეპარება,
დაგვიჭერს „ბრუციანებსა“,
არავინ შაებრალება.

მაგრამ ვუჯიბავთ იმასაც
„ქანქარსა“ გაუზიარებთ,
„პრიდირკას“ აღარ გვიკეთებს
ფულით რო დავაზიარებთ,

ფეხზე გვკიდია სიმართლე,
ზრდილობიანი მოპყრობა,
შორს ჩვენგან ყელა ასეთი
შაური თუ კი გვექნება.

რიჟა.

---

*) უბილეთო მგზავრებს, რომლებსაც კონდუქტორები ახდევინებენ ფულს, „ბრუციანებს“ ეძახიან.

მესტვირული.

ქვეყნის მარილნი.

კიდევ მოვაწყობ გუდა-ქამანჩას,
რომ ისევ ისე დავიწყო მღერა,
შიგ ჩავაქსოვო სულ, რაც კი მტანჯავს,
მწარე ნაღველი და გულის ძგერა.
ამ წუთი სოფლის მწარე ცხოვრებას
დავუღიღინებ, ვეცდები, რომა
ვემსხვერპლო მსმენელთ სიამოვნებას
და არც დამირჩეს უაზრო შრომა.
დიდხან ვეძებე ხსნა იდეალში!..
ქვეყნის მარილად თავი მომქონდა,
თავს ვიმაღლებდი ძე ხალხის თვალში!
ეს ჩემი საქმე ბევრსაც მოსწონდა!
სიტყვით მიყვარდა საერთოთ ყველა,
საქმით კი... აბა რა მოგახსენოთ?
ბევრი არ მყავდა გულის პეპელა
და გთხოვთ, ისინიც არ გამახსენოთ.
რადგან ამ ქვეყნად მხოლოდ ჭანჭარი
ჩემთვის შეადგენს მთავარ საზრუნავს!
სადაც ფულია, იქ სხვაც კი არი!
როცა დიდს ვისმე პირში ვაქებდი
და მის გონებას უხვად ვხიბლავდი,
მით ფულის წყაროს მე ვიხერხებდი,
შემდეგ ბლომათაც ჩავიჯიბავდი.
მახსოვს, მიყვირეს ერთხელ სხდომაზე
რაღაცა „მცირე“ გაფცქვნილებისთვის!
მიუთითებდენ ჩემს შეცდომაზე,
მსჯიდნენ ჩემმიერ ქანქართ ხლებისთვის.
მაგრამ არ ვიცი, როგორ, რა გვარად?
ვერ გამიძახეს იქიდგან გარეთ!
ეგ ჩემი ცოდვაც ჩასთვალეს არად
და ამირჩიეს კვლავ თავმჯდომარეთ!
თუმც ბევრს მიშლიდნენ, ვერ მომარჯულეს:
მე ჩემს ტაქტიკას კვლავ განვაგრძობდი
და ასე, სანამ არ მიზურგულეს,
ნოყიერ სადგურს ტყავსა ვაძრობდი.
ერთი „საქმიდან“ გამომიძახეს,
მყის მეორეში ჩავრგეკი თავი
და თუმცა აქაც ბევრი მიბრძანეს,
ასკეცი მაინც ავაძრე ტყავი.
დღესაც ყვირიან ჩემს შესახებ
დაე, იყვირონ! ილალონ ყბები,
მათი ყვირილით მე რა მაკლდება?
ვისმენ უტიფრად და ვიყლაპები!...
დიდხანს ვატარე მძიმე უღელი,
სიმშილ-სიტიტვლე გამოვიარე,
ჩაგრულებს ძმურად მივეცი ხელი,
იმათთვის გული დავიიარე,
დიდხანს ვაჟღერე ერთობის ჩანგი,
ძმობას, სიყვარულს ვუღიღინებდი,
მიყვარდა ჩემი მე „ამხანაგი“,
მასთან ვლხინობდი, მუნ ვქვითინებდი.
მაგრამ ამით მე ვერაფერს გავხვდი,
ვერრა უშველე მშიერ მუცელსა,
გაწყტა ილაჯი და ჭკუას შთავხდი,
რომ არ მაძლევდა ეგ საქმე ხელსა.
ავდექ და კილო გამოვიცვალე,
მეტ ფასიანი ავიღე ჩანგი,
დავკარ და მწყობრათ ჩავაწკრიალე
ეროვნულ გრძნობით აღსავსე ჰანგი!
ვეტრფი მზეს, მთვარეს... დაბლა ამ ქვეყნათ,
ნაციონალურ ოქროს ტომარას
და თავი მომაქვს სამყაროს მგოსნათ,
თუმცა ვერ ვსჯობნი ბევრით ხუმარას!
მიყვარს სამშობლო! ვეტრფი სამყაროს!
რომ აქაც, იქაც გავხდე უკვდავი
და ვინც ჭანჭარი წამოიმყაროს,
ფეშქეშ სანაცვლოდ ეგ ჩემი თავი!...

ნ. ზომლეთელი.



სამტრედიის მეეტლენი.

მგზავრის თავგადასავალი.

სამტრედიაში ჩაველი
ხონისკენ მიმეჩქაროდა,
მზე დასავლისკენ გადადგა
სიბნელე მოგვეპაროდა;
მეეტლე ერთი მომვარდა
ბარგზედან მომეხმაროდა,
უცებ გამოჩნდა მეორე
(თითქო ერთი არ კმაროდა)
იმან თავისკენ მიმწია
პირველი გაიჯავროდა,
შეიქნა მიწევ-მოწევა
სისხლი არ დაიღვაროდა...
ჩემი საგზაო „გვადრუცი“ [1])
უკვალოდ მოიპაროდა,
„ბაბანაკ“ [2]) შემონაგლეჯსა
„ქვაქვანაკ“ [3]) დამესვაროდა...
შევხედე: ახლა მესამე
მეეტლე მოეჩქაროდა;
გამწიეს-გამაწიპაწეს
სიცოცხლე გამემწაროდა,
თურმე ამ დასაქციერში
ტყუილათ მიმეხაროდა,
გვერდები ჩამილილავეს
ლოყებიც დამეღაროდა,
არვინ გამოჩნდა მაშველი,
(ანკი, ვინ დამეხმაროდა)
ტირილიც დავისირცხვილე
ცრემლები დამეღვაროდა.

მგზავრი.

---

1) „გვადრუცი“ თედოს ხოკიას ქართულით „ჩამადანს“ ნიშნავს.
2) „ბაბანაკი“ ამავე მწერლის ენით პალტოა.
3) „ქვაქვანაკი“ ალბათ ფიჯაკი იქნება.

ჯურუყვეთელი ლესნიჩის ლილინი.

„ღმერთო, შენ გმადლობ, რომელმაც
ტყეს გაუჩინე დავათ,
და მოგვივლინე „ჩაჩუტათ“
„დურმიშხან“ ათვხაზავათ.
პატიოსნება რომელსაც
გამოაცალე ეგრეთ,
რომ მტყუან-მართალს ვერ ამჩნევს
ეს უნამუსო ხეპრეთ.
სუდში პირის-პირ უდგება
ორჯერ ტყავ-გამძვრალ გლეხებსო
ხაზინის ქომაგობასა
ურცხვათ რომ დაიკვეხებსო.
გამოსარჩენი მთელის
მას, ხაზინას და მეცაო,
რიგია ასეთ „დურმიშხანს“
ღმერთო სწყალობდე შენცაო“

შხანკოლა.



ოზურგეთის წიგნის მაღაზია.

ს ი მ ღ ე რ ა
წიგნებით მოვაჭრისა.

რა კოხტა და ლამაზია
ჩემი წიგნის მაღაზია!!
თუ კი რამე გამოსულა,
ან რუსულათ, ან ქართულათ,
ერთი წიგნის დაუკლებათ
აქ მიწყვია ყველა სრულათ·
რა კოხტა და ლამაზია
ჩემი წიგნის მაღაზია!!
სამშობლოს რო ყავდეს წყვილი
აკოპიასთანა შვილი,
ევროპიელ ხალხთა თვალში
ასცდებოდა მას სირცხვილი.
რა კოხტა და ლამაზია
ჩემი წიგნის მაღაზია!!
დიდი არის კაცის ჭკუა
ვინც დასწერა **„მოატყუა"**
თაროს ისე მოეფინა,
თითქო ციდან ჩამოსთუა.
რა კოხტა და ლამაზია
ჩემი წიგნის მაღაზია!!
წავიკითხე „ვინ ხარ შენა?"
და დავიტკბე ყურთა სმენა,—
ეგ „სიცრუე" და „სიყალბეც"
ხომ იმ პავლემ მოგვახსენა·
რა კოხტა და ლამაზია
ჩემი წიგნის მაღაზია!!!

---

*
* *

გავიცანი ერთხელ ქალი,
ვღოცულობდი იმას ღმერთად,—
სიცოცხლეს და სასოებას
მას ვწირავდი ყველას ერთად
წრფელის გულით დავისახე
სულის სწორად და იმედა;დ
ვპოვე ესე რა ტაძარი
შევუდექი იმას მეტად.
შევცდი თურმე და მოვსტყუვდი
ვერ ვივარგე მე შორ მჭვრეტად
ბველი იყო, თურმე, იგი
გესლიანი სახედ—მტრედად
იცინოდა, თურმე, მხოლოდ
თეთრი კბილის დასაკრეჭად
და უცქერდა ამ ცხოვრებას
ვით მწყემსი ცხვარს გასაკრეჭად.
თვალთ-მაქცობით—მეოჯახე
და ვარგისი, თითქოს, დედად—
ქმარს გაყიდდა, როცა სურდა
თურმე ის ერთ კვესბედად.
დავიწყევლე ჩემი თავი,
ვთქვი, რომ დავალ თურმე რეტად.
და ფუ იმას, ვინც მიენდოს
ამგვარ დიაცს ამის მეტად.

ბლიკვაძე.

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

წინასიტყვაობა.

ყველამ ვიცით, რომ სამშობლოსა ჩვენსა არ მოეპოების ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ საბუთებზე დამყარებული და დასაბამიდან, ვიდრე მეგობარე ჟამამდე მოსრულებული, ისტორია. საქმისა ასეთ მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს შეუკრებლობა ისტორიულ მასალებისა, რომელნიც გაფანტულ არიან ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხის დაწესებულებებში და რომელთა შეკრება და გამოქვეყნება ფრიად დიდ სარგებლობასა მოუტანდა საქმესა. ყურადვიღეთ რა ეს, შევუდექით შეკრებასა ისტორიულ მასალებისას იმ იმედით, რომ მალე მოგვევლინება ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ქართველი მეცნიერი, რომელიც ისარგებლებს მცირედი ამა შრომით ოდეს მოჰკიდებს ხელს შედგენასა ისტორიისასა. ბოდიშსა მოვითხოვთ, რომ სხვა და სხვა არქივებში ჩვენ მიერ შეკრებილი მასალები ვერ იქნებიან სისტემატიურათ დალაგებულნი. საქმესა ამას იქმს თვით მეისტორიე. აქვე აღვნიშნავთ, რომ მასალები ესე გამოდგების სხვა და სხვა დარგის ისტორიისათვის, როგორც, მაგალითად, კულტურის ისტორიისათვის, პრესის ისტორიისათვის და სხ.

დისერტაცია ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ თფილთფილ ადგილების მისაღებათა.

(მასალა პირველი).

ძმანო და დანო, დედანო და მამანო წამებულ სამშობლოისანო! უკიდურეს გაჭირვებასა განიცდის ქვეყანა ჩვენი. უწმინდეს მოვალეობას შეადგენს ყველა ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ქართველთა, ვისაც კი მკერდში უცემს ნამდვილი ქართული გული და არა გული მოღალატეთა, ჩაუკვირდეს გასაჭირსა ამას, გამონახოს მიზეზი მისი და აგრეთვე წამალი იმის თავიდან აშორებისა. მარა თუ არ გაითვალისწინეთ ძველი, ისე ვერას იტყვით ახალზე. ეს ანბანური ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ მეცნიერებისა და მე, როგორც ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ქართველი მეცნიერი, პატრონი ქართული გულისა, დავიწყებ ჩემ მეცნიერულ გამოკვლევასა ძველი ჟამიდან, მარა არც ისე ძველიდან. მე მეადვილების დაწყება იმა ჟამიდან, როცა ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში ფეხი მოიდგა ეგრედ წოდებულმა „განმათავისუფლებელ მოძრაობამ", თუმცა მოძრაობა ესე, გეფიცებით ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ქართულ სინდისსა ჩემსა, განმათავისუფლებელი კი არა, იყო დამღუპველი ჩვენი, ე. ი. დამღუპველი ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ქართულ სულისა და მასთან გულისა.

ამას მე ეხლავე დავამტკიცებ, ხოლო მანამდე ნება მომეცით მოკლეთ შევეხო ჩვენი სამშობლოს წამბილწველსა მოძრაობასა.

როგორც იცით თქვენ, ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲜᲘ ქართველნო, ძმანო და დანო, მამანო და დედანო, რომლებმაც თვით თქვენ ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ქართულ ზურგზე გამოცადეთ მოძრაობისა იმის სიმწავანენი, მოძრაობა ესე დაიწყო საგრძნობათა ზურგთა თქვენისა, ე. ი. ჯიბისა თქვენისა, ჟამსა ქრისტეს დაბადებიდან 190Ე-სა. აღვნუსხოთ სურათნი ბილწნი ამა დროისანი.

კიდით-კიდემდე ჩვენი სამშობლოსა, დაწყებული დასავლეთით მამულებიდან გურიელებისა, იმ გურიელებისა, რომელნიც სახელოვან ძველ დროში სახელოვანათ ფლობდენ და მთავრობდენ გურიასა სასიხარულოთ ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ქართველთა გულთა, აი ამ გურიელების მამულებიდან ვიდრე მამულებამდე ჩვენი სამშობლოის აღმოსავლეთ ნაწილის არა ნაკლებ სახელოვან გვართა ᲞᲐᲪᲐᲪᲐᲫეთა, ერისთავთა, მაჩაბელთა, ბარათოვთა, დიასამიძეთა და სხვათა დიდ გვამთა მამულებამდე წამოიგრაგნა ცეცხლი მოძრაობისა შეჩვენებულისა. წამოყვეს თავი გლეხებმა მურტლიანებმა და წაქეზებულებმა ერთ შეჩვენებულ მოძღვრების მიმდევართაგან, იმ მოძღვრებისა, რომლისა ადეპტებს არა უყვართ წარსული ჩვენნი, არცა ენა ჩვენნი, არცა მამულ-დედულნი ჩვენნი და ახვა და სხვა ჩვენნი, ჰოო, წაქეზებულებმა ასეთ პირთაგან მოითხოვეს სისულელენი. რომ ნათელ ვყოთ სიგიჟე, რომ მეტი არ ვთქვათ, ამ მოძრაობისა, აღვნუსხოთ თუ რა მოითხოვეს.

მოითხოვეს როგორც დროებითი საშვალება:

ა) შემცირება ღალისა,

ბ) მოსპობა დრამა ფულისა

გ) და სხვანი, მსგავსნი ასეთ უმსგავსოებათა. ეს უნდა დაწესებულიყო დროებით, რა თქმა უნდა მათი აზრით და არა ჩვენი აზრით. მერე კი სხვა რამე უნდა დაწესებულიყო. აი რა მოითხოვეს ამ სხვა რამეთ.

დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და რაღაც კიდევ მეოთხეთა არჩეული, რომელსაც უნდა დაედგინა და უზრუნველეყო (ვიმეორებ—მათი აზრით - თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, ხელუხლებლობა პიროვნებისა ხელუხლებლობა პიროვნებისა, ბატონებო, იმას ნიშნავს, რომ მემამულეებს არ უნდა ეცემა ურჩ გლეხებისათვის) და რაღაც კიდევ ჯანდაბასა. ყველაზე უფრო აღსაშფოთებელი, ყველაზე უფრო ასაღელვებელი იყო თავი და თავი მოთხოვნა მათი. თქვენ იცით, ბატონებო, თუ რა იყო ეს. ეს იყო მიწების ჩამორთმევა მემამულეთაგან და გადაცემა გლეხებზე... დიახ!... ეს. . ეს უაზრობა, ეს.. სიგიჟე... ეს... მე სიტყვა ვერ მოვინახავს, სიტყვა ღირსეული, ამ სიგიჟის გამომთქმელი... ჩამორთმეკა, დიახ... ჩამორთმევა!..

თქვენ კარგათ იცით, ბატონებო, ე. ი. მამანო და დედანო, ძმანო და დანო, თუ როგორ გვეუფლა სიცარიელე კუჭისა ასეთ უტიფარ მოთხოვნათა წამოყენების დროს. ჰოი, სირცხვილო! . უნდათ ბამოვტყდეთ, უნდა გულახდილათ ვთქვათ, რადგან მიკერძოება არ იცის მიუდგომელმა ბამოკვლევამ, უნდა აღვიაროთ, რომ იმ დროს ბევრი ჩვენგანი დამფრთხალ-შეშინებული ვითომ კიდეც თანაუგრძნობდა მოძრაობასა. ბევრი კიდეც ამკობდა გაზეთებში ამ ჩვენ თავზე მოვლენილ უბედურებასა. მარა ეს გვიყო შიშმა. თქვენ იცით, ბატონებო, ქართული სიბრძნე: შიში აჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. დიახ, ჩვენ გავექეცით ჩვენ გულის ნადებს და გლეხებს ჩავუარდით კალთებში. ვამბობ, რომ ეს იყო შიშით გამოწვეული უნებლიეთ საქციელი, ისე კი თქვენც იცით, რომ გული ჩვენი სასახელოთ ჩვენდა ისევ ის იყო, რაც იყო.. არ შეგვიძლია აქ არ მოვიხსენიოთ ერთი გმირი. სახელი მისი წითელი ასოებით, არა, წითელით არა, შავი ასოებით... არც შავით ვარგა... დიდი შავი ასოებით აღიბეჭდება მამაც ქართველთა ისტორიაში. თქვენც იცით, ბატონებო, ეს სახელი. მე ვამბობ ზ უ ბ ი კ ო ზ ე. ის არ დაფრთხა, გამოაწყო რაზმი და თუ ვერაფერი გააწყო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ღირსეული დახმარება ვერ გავუწიეთ, რის მიზეზი თავის მხრივ იყო შიში, შიში და შიში. შორს შიში!.. ახლა მაინც ჩავდგეთ კალაპოტში. ახლა ხომ დრო ჩვენია და არა მათი.

ჰო, იმას ვამბობდი, მოითხოვეს მეთქი, გლეხებმა მეთქი. ახლა, ვიცი თქვენი გულის ამბავი, რომ იმასაც იკითხავთ, თუ რა მოითხოვეს მუშებმა. დამფუძნებელი, საყოველთაო და სხვა ხომ იმათაც მოითხოვეს და მოითხოვეს...

კიდევ მოითხოვეს:

სამუშაო დროს შემცირება და სამუშაო ქირის მომატება! ბატონებო, ეს მოთხოვნა ორიოდე სიტყვით, სულ რაღაც ექვსი სიტყვით ითქმება, მარა ძისი განხორციელება დიდი, მეტად დიდი უბედურებაა ჩვენი სამშობლოისათვის. ეს ნიშნავს ჩვენი სამშობლო მრეწველობის დაცემას... ეს ნიშნავს ქართველი მრეწველის ჯიბის გაიმასკნას... ეს ნიშნავს საერთო ნიადაგის, სამშობლოს ინტერესების უარისყოფას. სამუშაო დროს შემცირება და სამუშაო ქირის მომატება რომ მავნებელია სამშობლო მრეწველობისათვის, ეს დღეს მეცნიერულად დამტკიცებულია (იხილეთ ჯორჯაძის ფელეტონები „ცნობის ფურცელ"-ში, სადაც ეს საკითხი ყოველ მხრივაა გარჩეული და დასაბუთებული), მარა რომ უფრო ნათელვყოთ ჩვენი აზრი, რომ უფრო გასაგებათ გავხადოთ ის, საჭიროთ მიმაჩნია ავხსნათ ეს ციფრებით და მაგალითებით:

ვთქვათ, ბატონებო, რომ რომელიმე ქართველ მრეწველს, თუგინდ სარაჯეკს, გინდ კახეთის მევენახეთა ამხანაგობას ყავს დაქირავებული თავის ქართულ მრეწველობაში 200 მუშა. სამუშაო დღე განისაზღვრება 12 საათით, მხო-

ლოთ 12-ით, დანარჩენი 12 საათი მუშების სრულ განკარგულებაშია. სამუშაო ქირა დღეში 80 კაპეიკია. დაიკვირდით, ბატონებო, შემდეგ სტრიქონებს. და ნათლათ წარმოგიდგეთათ, თუ სადაა ძაღლის თავი დამარხული.

მაშ ასე. 200 მუშაა, დღეში თითო 80 კაპ. იღებს. სულ დღეში აიღებენ რამდენს? ამის გამოანგარიშება ადვილია. ამისათვის საჭიროა 200 გავამრავლოთ 80 ჯერ. 200×80=16000 კაპ., ე. ი. 160 მანეთი. ახლა ჩვენ გავიგეთ, რომ 200 მუშა იღებდა დღეში 160 მანეთს. გავიგოთ რამდენ საათს მუშაობდა დღეში ყველა. ამისათვის 12 უნდა გავამრავლოთ მუშათა რიცხვზე, ე. ი. 200-ზე. 12×200=2400 საათი. მაშ ახლა ჩვენ გამოვიკვლიეთ მიუდგომელი ციფრებით, რომ მუშები მუშაობდენ 2400 საათს დღეში.

ახლა ვთქვათ, რომ მუშების მოთხოვნილება განხორციელდა, ე. ი. მათ მოემატათ სამუშაო ქირა და შეუმცირდათ სამუშაო დღე. ვთქვათ მოემატა თითოს დღეში 20 კაპ. და შემცირდა სამუშაო დღე 2 საათით, ე. ი. გახდა 10 საათი.

ვნახოთ, რა გამოვა აქედან. ავალაპარაკოთ ციფრები. მაშინ მუშები მიიღებენ დღეში 200×1 მ.=200 მ. რამდენს საათს იმუშავებს ყველა დღეში? 200×10=2000 საათ.

რა დაამტკიცა ამ ციფრებმა, ბატონებო? დაამტკიცა ის, რომ წინეთ ყველა მუშა მუშაობდა დღეში 2400 საათს და იღებდა ქირას 160 მანეთს. თუ მათი უაზრო მოთხოვნილება განხორციელდა, მაშინ დღეში იმუშავებენ 2000 საათს და აიღებენ ქირათ 200 მანეთს! ე. ი. წინანდელთან შედარებით იმუშავებენ 400 საათით ხაკლებ დროს განმავლობაში და მიიღებენ მეტს 40 მანეთს დღეში. ეს ერთ დღეში, ბატონებო! ერთ წელიწადს კი... ვნახოთ რა ციფრი მოგვცეს ერთი წლის ანგარიშმა. დღეში იღებენ 40 მანეთს მეტს, წელიწადში მიიღებენ 40 მ.×365 (ხანდახან წელიწადში 366 დღეა, მარა ერთი დღე დაე მუშებს ქონდეთ)=14.600 მ.

ნაკლებს კი იმუშავებენ 400×365=146000 საათი. ბატონებო! რას ამბობენ ეს ციფრები? ქართველი მრეწველის დაღუპვას.

კაცო! ღმერთი არაა!.. კაცი კარგავს 146000 სამუშაო საათს და კიდევ უნდა გადაიხადოს მეტი 14600 მანეთი. ვაა!.. ეს სიგიჟეა მაშ რაა!..

ამ ციფრებიდან, ბატონებო, კიდევ უფრო მეტი საყურადღებო დასკვნები შეგვეძლო გამოგვეყვანა, მარა ამას უჩემოდაც თქვენც კარგათ გამოიყვანთ.

მე აღვნიშნე მოკლეთ და სხარტათ, მიუდგომლათ, როგორც ეს შეფერის მეცნიერს და მერე კიდევ ბეშმარიტ ქართაელ მეცნიერს, აღვნიშნე ფაქტები. ფაქტები საზიზღარი.

ახლა გადავიდეთ უმთავრეს კითხვაზე. ეს კითხვაა, ბატონებო:

ვისი ბრალია ყოველივე ეს?

გამოვარკვიოთ, ბატონებო, ეს. მაშ დავიწყოთ.

თქვენ კარგათ იცით ძმანო და დანო, მამანო და დედანო, რომ კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში გაჩნდა ერთი უკუღმართი მიმართულება, რომელმაც უარყო ჩვენი წარსული, ჩვენი ენა, შეაზიზღა ჩვენ ხალხს საუკეთესო მოღვაწენი, ჩაუნერგა ხალხს გულში ბეშმარიტ ქართველებისადმი სიძულვილი, გამოიყვანა ხალხი ქუჩაში, დაგვატაკა ეს ხალხი და მით დიდი ზიანი მოგვაყენა, როგორც მორალური, ისე მატერიალური, ე. ი. ჯიბური. მე, ბატონებო, ზოგიერთებსავით ცარიელი სიტყვების რახუნი არ მიყვარს,—მე რასაც ვიტყვი, იმას მაგალითებითაც დავამტკიცებ. თქვენ არ შეგაწუხებთ და მოვიყვან მაგალითად თქვენს უმორჩილეს მონას, ვ. ი. ჩემს თავს. დიდი ზიანი მომაყენეს მეც. დავდარიბდი. ერთი ქანქარი რაა, ერთი ქანქარიც კი არ მაქვს ჯიბეში. მე, საქართველოს უბეშმარიტეს შვილს; მე, მტერს იმ „ერთი მოძღვრების“ მიმდევრებისას, ჩემი სამშობლო ვერ მინახავს!.. მე, რომელმაც.....

—

აქ შეუწყვეტია ავტორს მისი საყურადღებო გამოკვლევა. ამის ქვემოთ რეზოლიუციაა. მოვიყვანთ ამ რეზოლიუციას სავსებით, სიტყვა-სიტყვით, რადგან ის უთუოდ დასჭირდება მკისტორიეს.

რეზოლიუცია.

„ვცანით რა დისერტაცია ესე ფრიად ნიჭიერად დაწერილათ და ვცანით რა უუნიჭიერეს ავტორის დიდი ერუდიცია და უკიდესი ნიჭი, და მივიღეთ რა აგრეთვე მხედველობაში, რომ ავტორი, როგორც თითონ ამბობს, უქანქარობაა და საჭიროა მისი დახმარება, რათა მას შეეძლოს ბრძოლის გაგრძელება, რაც შეუძლებელია ცარიელი კუჭით,— დავადგინეთ: „იმ ერთი მმართულების“ ხალხის მტრობაში მიეცეს ავტორს დოქტორის ხარისხი და ამასთანავე მიეცეს მას на прокормленіе ადგილი ერთ-ერთ სათავად-აზნაურო ბანკში, ჯერ-ჯერობით დაენიშნოს 80 ქანქარი თვეში და შემდეგ მიემატოს ჯამაგირი იმისდა მიხედვით, თუ რა ყოჩაღად იბრძოლებს იმ „ერთი მიმართულების“ წინააღმდეგ“.

ხელს აწერენ, მარა ისე, რომ ვერავინ გაარჩეკს.

მასალა ესე ვიპოვე სათავად-აზნაურო ბანკის არქივში

კენტი.

ᲡᲐᲢᲠᲤᲝᲡ.

დღეს ვაღამებ, ბნელს ვაკენებ
შენზე ფიქრით და ოცნებით,
სიყვარულის სამეფოში
მიმოვცურავ მსუბუქ ფრთებით.
    კიდეც ვხარობ, კიდეც ცრემლს ვღვრი,
    ხან ვიცინი და ხან ვსტირი,
    მარა არა როგორც მონა
    ცხოვრებისგან განაწირი!
წმიდა ცრემლით წყლულებს ვიბან,
ლურჯ წალკოტში ვთეს სიხარულს,
ვიცი და მრწამს მოვესწრები
გადაფუჩქვნილს იქ სიყვარულს.
    ცრემლით მორწყულ ბნელ არეში
    დამკაშკაშებ, როგორც მთვარე,
    გზას მინათებ, შენკენ მიწვევ,
    მოციმციმე, მოელვარე...
და მეც შენკენ მოვისწრაფი,
ვერ მაშინებს კლდე, ეკალი,
ეძლევი ვარ მე მას შემდეგ,
რაც ვიგრძენი ტრფობის ალი.
    ხან შორს მყავხარ, ხან კი ახლოს,
    ხან მიღიმი ხან მიწყრები...
    კმარა, სატრფოვ, შემიბრალე!
    თორემ ვფიცავ დავმონდები!..
თუმც სიკვდილი შენთვის, ტურფავ,
ჩემთვის ნიშნავს ნეტარებას,
მარა ერთხელ მაინც მინდა
ყურს ვუგდებდე შენს ციურ ხმას...
    შენს კალთაში შენთვის მებრძოლს
    მინდა შვება, მინდა ლხენა. .
    შენთან ერთად, სულის სწორო,
    ნეტარება, აღმაფრენა.
და მრწამს კიდეც დრო მომასწრებს
შენთვის მებრძოლს, განაწვალებს,
რომ ვკოცნიდე აღგზნებული
შენს ეუეუნა ნარ ნარ თვალებს.
    დღეს ვაღამებ, ბნელს ვათენებ
    შენზე ფიქრით წლიდან-წლამდე
    და მსურს კიდეც მე ღვიძებავ,
    სამარეშიც ასე მწვავდე..

ვ. მალაქიაშვილი.



სცენა ფირალოვის ქარხანაში გაფიცვის დროს.

პატარა ვეფხვის ტყაოსანი.

(გაგრძელება)

ჰხამს მათრახი ღონიერი, ვითა ღვენთქი განატრუცი,
სიცხე მისცეს უსზომო და ფეთება—შესაფუცი,
თუ ვის მოხვდეს, რბილ ნაწილზე ქონდეს ტყავი ანაქუცი,
მძულს კუდინის მიწოდება, სჯობს მათრახის ტკაცა-ტკუცი.

—

რაცა ვისცა ბედმა მისცეს, საჯაროთ თქვას და მხილობდეს,
გუნია და ხეობელი — ეს მღილები კვლავ მღილობდეს,
ვინმე მოყმე „ნიშადურში“ როშავდეს და ვინწილობდეს,
და პართენიც „იმ საქმეზე“ არცა ოდეს გულგრილობდეს.

—

ლეშთა და ნეხვთა ვინათგან სიმყრალე აედინების,
ეგრე „ნიშადურს“ არ რცხვენის, არც ლანძღვის არცა გინების.
ბრიყვი ალვირსა წაიხსნის, კუნტრუშობს მოელხინების
უგუნურის ზნისაგან ვარესიც მოითმინების.

—

ნახეს უცხო მოყმე ვინმე ბანკთან იდგა გარედ ძირსა,
შავი ხელით წერილს სწერდა „ნიშადურში“ გარნა ხშირსა,
თფილ ადგილის მოლოდინში უსველებდა ნერწყვი პირსა,
გუშსა გრძნობა დაეჩლუნგა, უგუნურებს ასე სჭირსა.

—

მას კაცსა არა ესმოდა თვინიერ რამე ავისა,
ლუკმა პურისთვის გაცემა მოყვრისა, ნათესავისა,
ხელში ნაჭერი კალამი, ჰქონდა რაზმული შავისა,
თფილი ადგილი უბოძეს, ბანკში, სარჩენი თავისა.

ბლიკვაძე.

ახალი სამოსწავლო პროგრამმა.

ამას წინად ქუთაისის სახალხო განათლების დირექტორს მიუმართავს ზოგიერთა სოფლის მასწავლებელთათვის წინადადებით, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ პირველ დაწყებითი სკოლებისათვის ახალი სამოსწავლო პროგრამმის შედგენაში. ამაზე თითქმის ყველა მასწავლებლებს ვარი განუცხადებია და ამ ნაირად ამ შემთხვევაშიაც არა ერთხელ ნაცადი ბიუროკრატიული ქამანდი გაცრუებული იქნა. როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგე, მთელი გუბერნიიდან მხოლოდ ცნობილ „პედაგოგს“ და „საზოგადო მოღვაწეს“ სპ. ენუქიძეს ვეღარ გაუწბილებია ბ. დირექტორი (სჩანს დიდი ხათრი ჰქონია მისი) და მიუღია წინადადება. ამ ჟამად ბ. ენუქიძე ქუთაისში ბრძანდება, სადაც დირექტორის კანცელარიაში მხნედ და ენერგიულად განაკრძობს აღნიშნულ საგანზე თავის მტვრევას ბ. ენუქიძეს ხომ სხვაც ბევრი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე, მაგრამ, ჩემის აზრით ეს მისი უკანასკნელი ღვაწლი იმდენათ მნიშვნელოვანი და სარგებლიანი იქნება, რომ მე დარწმუნებული ვარ საზოგადოება, უფრო კი მოზარდი თაობა (подростающее поколѣніе) დაუვიწყარს გახდის ამ ქვეყნად მის ხსოვნას და ღირსეულ პატივის ცემასაც ჩააყოლებს მას საფლავში.

ონისიმე.

წერილები ეშმაკისადმი.

სად. ბალაჯარა. „სპერმაკუდინის“ წვეთების მიღების შემდეგ ჩვენი სადგურის მესამე კლასის ბუფეთის ხაზეინებმა ინდაურივით ჩამოუშვეს ცხვირები. სადღაა ძველებური ხაზეინური მოქცევა. სამაგიეროთ ახალი არტელის მუშებმა აიშვეს თავი, პარველი იერიში ძველ შეგნებულ მუშებზე მიიტანეს და ერეკებიან. სწორეთ მაგითვის არის საჭირო „კუდინიც“ და მათრახის კუდიც. დერბენტის და პეტროვსკის ბუფეთის პატრონებიც გთხოვენ, რომ არც ისინი დაივიწყოთ.

ტრ. მეგრელისკუა.

—

ხაშმიდან. ეშმ კო! შენმა მათრახმა
მართლაც რომ გასჭრა ძალიან,
თუმც ღვდლის საქანქრო საქმეზე
დღეს წერა არა მცალიან.
მსურს გამცნო მხოლოდ იმათი
სასულიერო კავშირი
და შენს „იადონს“ (თუ იცნეს)
რა დდე მოელის, რა ჭირი.
ხუცისტებ-იმედისტები
შეერთდენ, შეჰკრეს პირია,
რომ იადონი მონახონ
ზვარაკათ შესაწირია.
მღვდელი იძახის: „შვილებო,
არ არის მოსათმენიო,
ჩემი გალანძღვა, გახსოვდეთ
გალანძღვა არის თქვენიო,
ჭუაძე არის ავტორი,
მე ეგრე შემიტყვიაო,
და ამგვარ მუხანათისთვის
ნუ გვენანება ტყვიაო.
გაზეთში წერა რათ უნდა
თუ ჩემზე ერჩის გულიო,
მოდგეს, პირის-პირ დამიწყოს
მუშტ-კრივი ავლაბრულიო.“
დაუწყეს ძებნა ჭუაძეს,
ია რომ ჰქვია სახელი;
„იადონი“ კი იქ იდგა
ბარბაროსობის მნახველი.
აღჭურვილ მოკავშირეებს
თავისი თვალით ხედავდა,
მათრახის კუდის თავაზსაც
ხელ ახლა გაუბედავდა.

იადონი.

—

ს. ბაღდათი. ძმაო ეშმაკო! ჯერ იმის მაგალითი არ ყოფილა ჩვენ კურთხეულ საქართველოში, რომ თქვენ მათრახს და კუდინს რაიმე გავლენა არ მოეხდინოს თქვენს პაციენტებზე, პირველი მაგალითია ბაღდათის მეეტლეთა ამხანაგობა. ისე სიამოვნებით გადაკრეს თქვენი სპერმაკუდინი, თითქო ჩაის მიირთმევენო, ყურებიც არ გაუპანტურებიათ. პირველ მაისს ამხანაგობამ ქუთაისში გამართა კრება, ამ კრებაზე ერთხმათ დაადგინეს წამლობის შემდეგ უფრო მეტათ გაყვლიფონ ღარიბი ხალხი. თითო ფუთ ბარგზე დააწესეს თითო აბაზი გადასატანი ქირა. მგზავრების თავისუფლათ გადაყვანის შესახებ საკითხი კრებამ მოხსნა. ამასთანავე კრებამ მეეტლე იაკოფს, რომელიც 20 წელიწადია მუშაობს, ამდენი ხნის სამსახურისთვის, ღამ-ღამობით ბაღდათში ყოფნა გადაუწყვიტა, რომ ოჯახში არ გაათიოს ღამე. წინათ იაკოფი დილით მოდიოდა ბაღდათში და საღამოთი ბრუნდებოდა, ეხლა კი საღამოზე გზავნიან, რომ ღამე დაბრუნება არ შეეძლოს. ასეთი სასტიკი სასჯელის მიზეზი გაუგებარია. ალბათ იაკოფი ისე კარგათ ვერ ყვლეფდა ხალხს, როგორც ორი მისი ამხანაგი და ამიტომ დასაჯეს. მათრახს ღირსია კოსტა და ტრიფონი (სანდროსაც არა უშავს-რა), რადგან საერთო დადგენილება სისრულეში არ მოყავთ. ამას წინათ მათმა დაყენებულმა მეეტლე ასლანმა ისე დააყირავა დილიჟანსი საღორიის კლდეზე, რომ ხალხს გული გაუსქდა. სიკვდილს გადარჩენ, მარა ბეერი მათგანი ლოგინათ ჩავარდა. ასლანს უთუოთ ერთი ბოთლი სპერმაკუდინი დასჭირდება ვინძლო ჩქარა მოგვაწოდოთ

გ. ჩი—ძე.

—

გუბი. ძმაო ეშმაკო, მათხოვე
ეგ შენი გუდა სტვირია,
ზოგიერთ გუბელ ყმაწვილებს
რომ აუწითლო ცხვირია.
პირველი არის მიხეილ
ელიზბარიჩი ქვირია,
მეორე მიშა პახუმიჩ
გვარი მას აღარ სჭირია.
პირველის ბიოგრაფია
მოკლეთ ასეა ეშმაკო!
მისგვარი კარტის დამრიგე
მგონი თფილისშიც ვერ ნახო.
სოფელ გუბს ფული მოხიკა
საამხანაგო საქმისთვინ
ქალაქ ფოთს როცა ჩავიდა,
კარტი გა'მალა დუქნის წინ.
„ვერტუშკა,“-„ბაქარ“-„ტრილისტას“
ეყო ეს ფული ერთ დღესა
შემდეგ ნაბადიც მოხადეს
მიხოს რომ არა დასცხესა
ხალხში ნაკრეფი ფულები
ბევრჯელ შეჭამა მიხამა,
მამა მისი კი მოგვითხრობს:
„ბავშვიაო და იხამა“.
ჩვენი მეორე საგანი
მიშიკო პახუმიჩია,
ორი კაკარდის პატრონი
„უჩიტლობს“ ჯიხაიშშია.
თუ დაპატიჟე ოჯახში,
და მითვისე ძმურათა,
ის მანდილოსნებს მონახავს
დატრიალდება კუროთა.

თუ ხმა გაეცი: „რას შვრები?
ან ეგ რა საკადრისია?
შუბლზე გიჩვენებს კაკარდას
და გეტყვის: „იცი ვისია?“.
სადაც დღე ვერას გახდება
ღამე მიდგება კარზედა...
(მაგრამ იცოცხლე შენ და მეც
იგი მიბეგვეს ძალზედა!!)
გთხოვთ ახლა მსჯავრი დაუდო
ამათ სამხედრო სუდითა
და აუკრელო გვერდები
შენი მათრახის კუდითა.

„ლუბა“.

—

ს. სეფიეთი. (სენაკის მაზრა)—ეშმაკო! რომ იცოდე ჩვენი სოფლის დღევანდელი მდგომარეობა ვერ მოითმენ, რომ არ ჩამოხვიდე. არა მგონია რუსეთში სადმე ისეთი წეს-რიგი იყოს, როგორც სეფიეთშია. ყველა ეს კი არის ჩვენი მამასახლისის წყალობით. ასეთ ადმინისტრატორს მთელ დუნიაზე ვერ ნახავთ. ამას წინეთ აქ რკინის გზის ერთი მოსამსახურე ჩამოვიდა. შესდგა თუ არა ფეხი სოფელში, ხელათ ეცენ შეიმა! ქნეს-შემოიმასქნეს და უნდოდათ ვირის აბანოში წაეყვანათ, მარა რაკი არაფერი აღმოაჩნდა გაუშვეს. ასე იცავენ წეს-რიგს ჩვენი ადმინისტრატორები.

ბიცხვერ.

—

ხაშური.—პურიშკევიჩი მონაგონი არაა ჩვენ მანდილოსნებთან. ძნელი სათქმელია რომელი მათგანი აჯობებს ლანძღვა-გინების საკონკურსო გამოცდაზე. საკვირველია სად შეისწავლეს ასე ჩვენმა მანდილოსნებმა ლანძღვა-გინების ლექსიკონი, როცა ხაშურს არ გაშორებიან და ავლაბარი თვალითაც არ უნახავთ. ამ მხრით ყველაზე მეტათ განვითარებული და პრაქტიკულათაც დახელოვნებულია ერთი მღვდლის შვილის-შვილი. ლანძღვა-გინებასთან ერთათ ის თავის ქმრის „დურმიშხანია“ თა ქმარსაც მისი სიტყვები სჯერა. ყველა იმ სიკეთესთან ამ ქალბატონს საშინლათ ეჯავრებიან გოგო ბიჭები, სამაგიეროთ ძალიან უყვარს კარტის თამაში, მაგრამ ფულზე კი არა, ლობიოზე. მათრახის კუდი რომ მოუხდება ეჭვი არ არის.

ჩერე.

—

მლეთი. მლეთიდან გიძღვნით მოკიოხვას
ჩვენის ცოდვილის პირითა,
ჩვენკენაც გამოიარე
ნუ გვტანჯავ მოლოდინითა.
ზოგიერთების ქცევისგან
მწარე ცრემლებით ვსტირითა
იწამე ღმერთი დაგვიხსენ
ესოდენ გასაჭირითა.
სოფელ მლეთსა გზისა ყურათ
სადგურია ამართული,
მუნ ზის არტემ პეტრუსოვი
(ბედის ვარსკვლავ გაჩარხული)
დავიწყებას მისცა უკვე
ათას ცხრაას ხუთი წელი,
რეაქციის დახმარებით
ურცხვად შეყო ყველგან ხელი.
„ნაჩალნიკის“ ადგილს იქერს,
მეთვალყურეც თვითონ არი,
ბუფეტს თავზე დასტრიალებს
გულით უწვიმს ზღვა ქანქარი.
ახლა კიდეც „პოდრაჩიკობს“
აქეთ-იქით იწყო ფრენა,
და ისედაც შავ ღღიანებს
ვარესი დღე დააყენა.
მგზავრს ულანძღველს არ გაუშვებს,
მუშები ხომ ჩაამწარა,
ან უბედურს მეეტლეებს
რა ხეირი დააყარა?
ამიტომ გთხოვთ ეშმაკო-ჯან
გადმოფრინდე ერთი მთაში
და მათრახი გაიქნიო
ჩვენს არაგვის ხეობაში...

ღ. მოხევე.

—

სამტრედიის რაიონი. ამ ახლო ხანში ჩვენ რაიონში უნდა მოხდეს სამი დიდებული, სრულიად რუსეთის სიეზდი: „არღანჩიკთა,“ „მიკიტანთა,“ „ჯიბგირთა“ და რკინის გზის „ვეჩერთა“ მოტრფიალეთა. „არღანჩიკთა“ დღიური წეს-რიგი მხოლოდ ერთი კითხვისაგან შესდგება: არ დაუკრან არღანი 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე, ხოლო ეს გადაწყვეტილება ეცნობება გორის, თფილისის ქუთაისის და სხვა ქალაქების არღანჩიკებს. მიკიტნებს ბარე სამი დიდი კითხვა აქვთ გადასაწყვეტი: 1) როგორ მოახერხონ სამკითხველოს დახურვა 2) როგორ აღადგინონ ნოქრებისთვის ძველი პირობები და 3) რა საშუალებით ებრძოლონ შანტაჟისტებს. სიეზდზე მიწვეული არიან თფილისიდან ვაჭარი ალექსი „ალიხანოვი,“ ქუთაისიდან და ბათუმიდან სხვა და სხვა მცოდნე პირები. ეს სიეზდი მეტათ საინტერესო იქნება. ჯიბგირებს სურთ თავიანთ სიეზდზე აღძრან შუამდგომლობა რკინის გზის სამგზავრო ბილეთებს დაუკლონ ფასები, რომ მეტი ხალხი მიაწყდეს კასას და მეტი ხეირი ნახონ. აზრათ ააქვთ პროტესტი გამოაცხადონ, რომ 1 მაისი ვერ იყო „დოხოდიანი.“ „ვეჩერისტების“ სიეზდზე უნდა გადაწყდეს საკითხი, როგორ მოეწყოს მომავალში ვეჩერების საქმე. საქმის მოსაწყობად იწვევენ თფილისიდან ნიკო ბოპორიშვილს, როგორც გამოცდილს ვეჩერების საქმეში. ერთი სიტყვით ახლო მომავალში სამტრედიის რაიონში დიდი საინტერესო ამბები მოხდება, დანარჩენი შემდეგ.

„ჩორთიკ“

—

ზემო-ქვიტირი. 7 მაისს სოფელ ზემო ქვიტირში ერთი ახირებული დღესასწაული იციან, რაღაც „კოხინჯრობაა“ თუ მახინჯობა. ამ დღეს ეკლესიის ახლო აუარებელი ხალხი იყრის თავს. ამ დღეს ეკლესიის დეპუტატებმა კინაღამ გვერდები დაუზილეს ერთ მოვაჭრეს, რომელიც ეკლესიის

გალავანში ლიმონათს და ბალს ყიდდა. მას მოსთხოვეს მთელი ნავაჭრი ეკლესიისთვის შეეწირა. საქმე ძალიან გამწვავებული იყო, რომ საიდგანღაც გაჩდენ „მასაჟისტები“ და გიყვარდ'ს აჩვენეს ყველას ფეთება. უპირველეს ყოვლისა ლაზათიანათ დაგვიზილეს ჩვენი მამასახლისი, ისე დაზილეს რომ მგონი ერთ თვეს ფეხზე ვეღარ ადგეს, თუ თქვენი კუდინი არ მოგვაშველეთ. დანარჩენმა ხალხმა გაქცევით თავს უშველა ამ გვარათ „კოხინჯრობა“ „მოქინჩრობით“ გათავდა.

გ. ჩი-ძე

—

ამტნის ხევიდან.

ძმაო ეშმაკო! ჩვენ პაწა სოფელს
მოდი მოხედე და თვალით ნახე,
თუ ვით გიორგი ნახუცაროვმა
თვალი აგვიბა დაგვიგო მახე.
ჯერ რასაც გეტყვი ყური დაუგდე
და მერე ისე გაამათრახე,
რო ქვეყანაში ვერ გამოვიდეს
არვის აჩვენოს სირცხვილით სახე.

ყური დამიგდე იმ ნანატრ დროსა
როცა ქვეყანა მხიარულობდა,
როცა სუყველა ძმობა ერთობას
თავისუფლებას გაიძახოდა
იმ დროს გიორგი ნახუცაროვიც
ახალ თაობის ჰანგზე გალობდა,
ბოროტი გული და შავი კბილი
დამალა ძმაო, მრევლსაც წყალობდა!

ერთხელ შეკრიბა თავის „პრიხოდი“
გამოუცხადა „დიდი წყალობა“
რომ ის ამ დღიდან ხალხს მხარს დაუჭერს
საერთო ძალით დასცენ მტარვლობა,
რო კოდის პურზე, წინ გასაძღოლზე,
აღარ ეკ'ნება მრევლთან ძალობა,
მარსელიოზის ჰანგზე შესცვალა
„აცხოვნე ღმერთო“ და სხვა გალობა.

ცას ვეწეოდით, ძმაო ეშმაკო,
რო ბედმა ჩვენაც გვარგუნა მღვდელი
ენა მემტყველი, დამრიგებელი,
და „ღარიბ ღატაკთ შემწყალებელი.“
მისი „წყალობა“ რო გავადიდოთ
გაგრძელდა მხოლოდ სულ ორი წელი
და მესამეზე შენს მტერს ეშმაკჯან
მან მოგვაყენა ჩვენ სატანჯველი.

როს დრო იხელთა სულის, მამამა
და ყველგან შეწყდა „ხალხის ხმაური“
ისიც გამხნევდა აფრინა „სტრაჟა“
ასტეხა ერთი აურ ზაური...
რაც „გვიწყალობა“ უკან წაიღო
არ შეგვარჩინა ერთი შაური.
ჩვენც რას ვუზამდით, გადაუხადეთ,
გავყიდეთ ერბო, ხაჭო ფშაური.

ეგრე ძმაოჯან ესე დაგვლუპა
ცეცხლზე დაგვისხა ცივი წყალია
„მოწყალე“ ღვდელმა სულისა მამამ
დაგვტოვა ყველა ხახა მშრალია.

ეხლა კი მივხვდით რასაც გვიქადდა
რაზე შეუცდა ხუცესს თვალია,
მოდი გენაცვა ამ უსამართლოს,
შეაგნებინე თავ'ს ვალია.

ცხო-მთიული.

წერილები რედაქციის მიმართ.

სწორეთ მეტად ახირებული ხალხია ქუთაითურები!.. წარმოიდგინეთ, რაც ქუთაისსა, ან იქაურ მოდვაწეების შესახებ ჩვენს გაზეთებში იწერება, თურმე ყველაფერს მე მაბრალებენ. განსაკუთრებით დიდი გულის წყრომა გამოუწვევია სახოგადოების ერთ ნაწილში „ეშ. მათრ.“ № 28-ში მოთავსებულ თავ. დავით ნიჟარაძის კარიკატურასა *) და ბიოგრაფიას, რომლის ავტორობას მე მაწერენ და რომელმაც, სამწუხაროთ, უკვე ფრიად დიდი ვნება მოგაყენა. დავარწმუნებ ჩემს მტრებსაც და მოყვარეთაც, თუმცა წამხდარ საქმეს ეს ახლა ვედარაფერს უშველის, რომ „ეშ. მათრ.“-ში მოთავსებული თავ. დავით ნიჟარაძის კარიკატურა-ბიოგრაფია და არც სხვა წერილები მე არ მეკუთვნის.

„სველს ნამის არ ეშინიაო“, ამბობს ანდაზა და მეც, დარწმუნებული ბძანდებოდეთ, თუ რასმე დავწერ, საკუთარ სახელგვარსაც მოვაწერ, ფსევდონიმს არ ამოვეფარები.

იასონ ნიკოლაიშვილი.

---

*) მწუხარებით უნდა აღვნიშნო ის მოვლენა, რომ უბრალო შარჟის მნიშვ'ელობა ჯერ კიდევ ვერ გაუგია ჩვენს საზოგადოებას. საკმარისია რომელიმე მოღვაწის შარჟი მოათავსო გაზეთში, რომ მსწრაფლ წარსულისა და სამშობლოს მოღალატეთ გამოგაცხადონ. რუსულ ჟურნალ-გაზეთებში მუდამ დღეა ცნობილ და პატივცემულ მოღვაწეთა შარჟები, მაგრამ ამისათვის ქვეყანა არავის დაუქცევია.

კერძოთ იასონ ნიკოლაიშვილის შესახებ, „ეშმაკის მათრახი“-ს რედაქციას ერთი გადაჭრილი აზრი აქვს. მისი დევნის გარეშე მიზეზი შეიძლება იყოს „ეშ. მათრახ“-ში მოთავსებული წერილები, რომლებთანაც ნიკოლაიშვილს არავითარი კავშირი არა აქვს, მაკრამ უმთავრესი ძარღვი მაინც სულ სხვაგანაა. ჩვენ თუმცა გვესმოდა, რომ ქუთაისიდან ან ქუთათურებზე მოთავსებულ ამბებს იასონ ნიკოლაიშვილს აწერდენ და ფარულ დურმიშხანულ აგიტაციას ეწეოდენ მის წინააღმდეგ, მაგრამ ამ მოსაზრებით გაზეთი უყურადღებოთ ხომ ვერ დასტოვებდა მოწოდებულ საჭირო ამბებს.

რედაქცია.

—

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურნალის „ეშმაკის მათრახი“-ს საშუალებით სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო თქვენი კორესპოდენტი ბ-ნი ალაგეთური, რომელმაც სრულიად უსაბუთოთ გამლანძღა თქვენ ჟურნალში. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ აკაკი პაპავას და რაჟდენ ანბულაძეს. საქმის გარჩევა 25 მაისს უნდა მოხდეს სამტრედიაში.

დათიკო კვანტალიანი.

დეპ. ჩელიშევი და სამოთხის ხე.

პურიშკევიჩი და ევროპა.

დეპეშები

(საკუთარი კორესპონდენტებისგან)

სამტრედია—ანტონის დასაფლავებაზე ექიმმა ჯაშმა უშველებელი სიტყვა წარმოსთქვა. დამსწრე საზოგადოებამ ვაშას ძახილით და ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

იჭიდანვე—ანტონის მოსაგონებლათ ჩვენებური ფერშალ-ექიმები 25 მაისს დიდ ნადიმს მართავენ. სადილი გაიმართება გოთოშიას ბაღში· დაუკრავენ ზურნას, არღნებს და „გარმოშკებს“ ეჭვი არაა რეჩებიც იქნება.

ახალ-სენაკი—ჩვენს საღგურზე ერთი ახლად მოვლენილი „პრაქტიკანტი“ „იმის“ პრაქტიკას ძალიანს შობა. ვილაცის დავალებით ეძებს „ონისიმეს“ და უნდა როგორმე აღმოაჩინოს. ამისთვის ის არავითარ საშუალებას არ თაკილობს. ამ ბოლო დროს სხვის წერილებში შეძრომაც კი დაიწყო.

„ეშმაკის მათრახის“ ფოსტა

ხაშმი. მისწრებას. თქვენე ლექსი „ქელეხისტები“ არ დაიბეჭდება, იქ ისე გამოდის თითქო „ჯახრაკა“ კვერცხების ქურდობისათვის (ოდოს დაემტვრიოს) თხრილში და არა იმის, უზომო სიმთვრალეს.

ბიათურა—ახალ მოვლენილს. თქვენი ლექსის შინაარსი სრულიადაც არ არის ახალი და საყურადღებო მოვლენა. ეს ყოველთვის ეგრეა: სტრაფნიკები სცემენ ხალხს და ვაჭრები ჩარჩობენ.

რაჭა—გულშემატკივარს. ონის სამკითხველოს საქმე თუ კარგათ მიდის და ლონგინოზ-ვიქტორ-დათიკო კიდევ უკეთ წაიყვანენ, ჩვენ რაღაზე გვაწუხებთ.

თამამშვილის ძარვასლა. რ. ჯ. თუ თქვენი ნოქრების გაიპასქნა მხოლოდ „მოპატიჟების“ შემოღებაში მდგომარეობს და მიპატიჟებასთან ერთათ „მოტყუება“ არ დაუწყიათ, „კუდინს“ ტყვილათ ნუ მახარჯვინებთ.

ბაძო, გოგიას. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება· სულ ერთია, ამით ჩვენ ვალებს მაინც არაფერი ეშველებოდა.

ახალგორი. ვერმიცანაშვილს. მარტო თქვენი ბოქაული კი არ არის ეგეთი. ყაჩაღთან შეხვედრა ყველას ეშინია, ხოლო უიარაღო მშვიდობიანთან, საფრთხე ნაკლებია სარგებლობა მეტი.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

მე-32 ნომრიდან წლის ბოლომდე

„ეშმაკის მათრახი“

ღირს 3 მანეთად.

ვინც მთელი წლის ფასს 5 მან. გამოუგზავნის რედაქციას, უფასოდ გაეგზავნება გასული წლის „ეშმ. მართ.“ ყველა ნომრები ერთად შეკერილი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ въ редакцію „Ешмакисъ Матрахи“.

დაიკარგა პასპორტი **ნიკო ნადიბაიძისა.** მნახველს სთხოვენ წარმოადგინოს „ცხოვრების სარკის“ რედაქციაში, ბარიათინსკის ქუჩა № 3.

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „შრომა“ რუსკაია ქ. №3.